ახალგაზრდა ეროელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

ხუთშაბათი, 19 ივლისი № 81 (11567) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

დაჭეშმარიტებული ტენდენცია

ანუ „დვრიტას“ რა აკაკანებდა

ამთავითვე ვიტყვით: გაზეთ „დვრიტას“ რედაქციამ უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი— აბსოლუტურად შეუმოწმებლად დაბეჭდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ხელმოცარულ აბიტურიენტთა „ერთი ჯგუფის“ უაღრესად ტენდენციური წერილი, ერთობ მყვირალა და სენსაციური სათაურით (სათაური რედაქციის შემოქმედებაა): „რა მოხდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მისაღებ გამოცდებზე?“

კოლეგიალობის გრძნობა კომენტარის უფლებას არ გვაძლევსო, — აღნიშნა რედაქციამ წვრილს... კომენტარში.

ჩვენ კი გვგონია: სწორედ კოლეგიალობა (ელემენტარული ტაქტი, ეთიკაც და, რაც მთავარია, პროფესიონალიზმი) მოითხოვდა, რომ აღნიშნული წერილი დაბეჭდვამდე, „დვრიტას“ რედაქტორი დაკავშირებოდა თავის კოლეგებს — ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩატარებული შემოქმედებითი ტურების მონაწილეთ. იქნებ განუმარტავდნენ, რომ, წერილი, რომელსაც აქვეყნებდა, მართლაც „ჟურნალისტიკაზე შეყვარებულ აბიტურიენტთა უგულწრფელესი განცხადება კი არ იყო, არამედ იმათი არაგულწრფელი და ყოვლად უსაფუძვლო საჩივარი, ვისაც ჰაინე მეოცე საუკუნის უდიდესი მწერალი და ნობელის პრემიის ლაურეატი ჰგონიათ, ხოლო გრიგოლ რობაქიძე — XIX საუკუნის ქართველი ჟურნალისტი და ამ „ცოდნით“ სურთ უნივერსიტეტის კარის შეღება (?!).

„დვრიტას“ რედაქცია „გამოცდაზე დამსწრე ჟურნალისტებს“ (ეს მისი ფრაზაა) ამის გაკეთებას, ანუ ამბის დეტალურ განმარტებას თავისი „უკომენტარო“ წერილის კომენტარში გვთხოვს.

ასეთ ყურადღებას იგი ჩვენგან ნამდვილად არ იმსახურებს, მაგრამ მაინც აუცილებლად ვთვლით „განმარტებას“, ოღონდ არა „დვრიტას“ რედაქციის, არამედ ჩვენი საზოგადოებრიობის საყურადღებოდ, ვინაიდან გვწამს: ადვილი შესაძლებელია, რომ „დვრიტას“ არასწორმა პუბლიკაციამ კიდევ უფრო გააღრმავოს ის დამღუპველი ტენდენცია, რომელზეც ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით.

ჯერ კი იმის შესახებ, თუ რა და როგორ იყო სინამდვილეში.

ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის, მისაღები გამოცდების წინ, არსებული წესის თანახმად, წლეულსაც ჩატარდა წინასწარი შემოქმედებითი ტურები. და არა გამოცდები, როგორც ამას „დვრიტა“ წერს.

ზეპირ ტურში, როგორც ყოველთვის, აბიტურიენტთა ცოდნის ჰორიზონტის შესამოწმებლად, გამოყენებულ იქნა ტესტი, რომელიც 15 კითხვას შეიცავდა. აბიტურიენტს 6 საკითხის არცოდნა ეპატიებოდა. მაინც რის ცოდნას მოითხოვდნენ ამ ტესტით? რომელია შვეიცარიის დედაქალაქი, ვინ არის აშშ-ის პრეზიდენტი, როდის მოხდა დიდგორის ომი, რომელ საუკუნეში გავრცელდა საქართველოში ქრისტიანობა, რომელ საუკუნეში აღმოაჩინა კოლუმბმა ამერიკა; XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი ჟურნალისტი.

რთული კითხვებია? არ უნდა იცოდეს ეს ყოველივე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე და, საერთოდ, უნივერსიტეტში შემსვლელმა? აუცილებლად უნდა. გავითვალისწინოთ ის, რომ სწორი პასუხი ტესტშივეა მოცემული, რასაკვირველია, რამდენიმე არასწორ პასუხთან ერთად. მაგალითად, კითხვას — ოპერა „ოტელოს“ ავტორი — ახლავს 5 პასუხი: პუჩინი, შექსპირი, ბიზე, ვაგნერი, ვერდი.

რა ვქნათ მაშინ, როცა აბიტურიენტი ხაზს უსვამს შექსპირს? დავუშვათ მან არ იცის, ვინ არის ოპერა „ოტელოს“ ავტორი, მაგრამ ის მაინც არ უნდა იცოდეს, რომ შექსპირი ოპერებს არ წერდა?

აი, ამგვარი „ცოდნის“ გამო ჩაჭრილ აბიტურიენტთა „ერთმა ჯგუფმა“ და, რაც ძალზე დამაფიქრებელია, მათმა მშობლებმა გამოთქვეს უკმაყოფილება ზეპირი შემოქმედებითი ტურის შემდეგ (სხვათა შორის, ჩაჭრილთა დიდმა უმრავლესობამ დაუყოვნებლივ გადაიტანა საბუთები სხვა ფაკულტეტებზე, როგორც ეს წინა წლებში ყოველგვარი ექსცესიების გარეშე ხდებოდა).

საგამოცდო კომისია დაუყოვნებლივ შეხვდა მათ და განუმარტა თავისი პოზიცია.

„ამ დღეს, ჩვენდა გასაოცრად, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მიმღებმა კომისიამ „ობიექტურობის გასარკვევად“ მილიცია დაგვახვია თავს“. — ვკითხულობთ „დვრიტას“ პუბლიკაციაში.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ამგვარი რამ უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში, შემოქმედებითი ტურების მიმდინარეობის დროს არ მომხდარა. შემდეგ შევიტყვეთ, რომ საქმეში მილიციის ჩარევა საჭირო გახდა 14 ივლისს (ტურები კი 10-11 ივლისს ჩატარდა), უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, როცა განაწყენებულმა აბიტურიენტებმა და მათმა მშობლებმა ჩაკეტეს უნივერსიტეტის კარი და შენობიდან არ უშვებდნენ დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრებს, რომელთაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩატარებული შემოქმედებითი ტური სრულიად ობიექტურად და სამართლიანად მიიჩნიეს. იმ დღეს აბიტურიენტები და მშობლები თავს დაესხნენ და გზა გადაუღობეს მანქანებს, რომლებშიც სამეცნიერო საბჭოს წევრები ისხდნენ.

აქ ბუნებრივად ისმის კითხვა: გვინდა კი ჩვენ ისეთი ჟურნალისტი, ვინც უნივერსიტეტში შესვლას ამგვარი ხერხებით ცდილობს? განა შეიძლება ასეთი რამ „მისთვის საფიცარ ჟურნალისტიკაზე შეყვარებულმა“ ახალგაზრდამ მოიმოქმედოს?

იქნებ დაფიქრებულიყო „დვრიტას“ რედაქცია, ვისი ქომაგობა დააპირა, ვის ეპატიჟება ჩვენს ჟურნალისტურ ამქარში.

ასეთია სინამდვილე. მთავარი სათქმელი კი ჯერ მაინც არ გვითქვამს. ყველაზე საშიში და დამღუპველია ბოლო დროს გამოკვეთილი ტენდენცია: უცოდინარ აბიტურიენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი ძალადობით ცდილობს უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრას. ამ საქმეში მათს „შემართებას“ აჭარბებს კიდეც მათივე მშობლების აქტიურობა.

ფრიად დამაფიქრებელია ამ ბოლო დროს შექმნილი აზრი, რომ ამგვარი ხერხი ცოდნაზე უკეთ ჭრის.

დღეს კი ეს ტენდენცია თანდათან ღრმავდება და, თუ დროზე წინ არ აღვუდგებით, შესაძლოა, ეროვნულ კატასტროფამდეც კი მივიდეთ.

ამაზე დაფიქრება გვმართებს ყველას, რა თქმა უნდა, გაზეთ „დვრიტას“ რედაქციასაც.

ნარგიზა მგელაძე,
გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი,

მერაბ ბალარაჯიშვილი,
გაზეთ „ახალგაზრდა ეროელის“ რედაქტორი,

ბიგლა გოგენია,
გაზეთ „ახალგაზრდა ეროელის“ რედაქტორის მოადგილე,

ვალერიან გოგოლაშვილი,
გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი,

ზაურ გოფაართელი,
საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი,

ზაზა დარასელი,
საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

მიხეილ კოპალეიშვილი,
საქართველოს რადიოს ლიტერატურულ-დრამატული პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი.

აკაკი სიხარულიძე,
საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს გამგეობის მდივანი,

მამუკა ფაჩუაშვილი,
გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი,

გია ფაცურია,
გაზეთ „მოლოდიოე გრუზიის“ რედაქტორი,

გონდო კურდაძე,
გაზეთ „შანსის“ რედაქტორი,

იოსებ ჯუმბერიძე,
გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის მოადგილე.

„მე აფხაზმა ხალხმა გამზარდა და... მანვე დამღუპა: ოგლად გაზრდილს, სიკვდილის ქამს დამტირებელი ვინც მუავდა, ისინიც არ შემრჩა, რადგან სანამ მკვლელი დაუსჯელი დადის და მას აფხაზი ხელს აფარებს, არ შემიძლია, მასთან ვიყო“.

შვილმკვდარი დედის მონოლოგი

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველოში: მწუხარებისა და იმედის ყვავილები

ჯიმ მოლნარი გაზეთ „ხიეთლ თაიმზ“-ის (აშშ-ს ვაშინგტონის შტატის ქალაქი ხიეთლი) კორესპონდენტია. წელს აპრილში ის თბილისში იყო და თავისი ფრაგმენტული, ერთგვარი მოზაიკური შთაბეჭდილებები გაზეთის 16 აპრილის ნომერში გამოაქვეყნა. ალბათ, თქვენთვისაც საინტერესო იქნება, თუ როგორ დაინახა ჩვენი წლევანდელი აპრილი ამერიკელმა ჟურნალისტმა.

თბილისელი გოგონა — ხატია 11 წლისაა. გრძელი შავი თმა ტალღებად ჩამოშლია სახეზე. მუქ თაფლისფერ თვალებში ტკივილი და შიში დაჰბუდებია. ამ თვალებს უკვე უნახავთ სიკვდილი.

ჩვენ პირველად 9 აპრილის ადრიან დილას, 4 საათზე შევხვდით, როცა დაახლოებით 200 000 კაცმა მოიყარა თავი თბილისში მთავრობის სახლის წინ.

აქ შეკრებილმა ქართველებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს თავისი დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირისაგან.

ლიტვისა და დანარჩენი ბალტიის ქვეყნების მსგავსად ამ პატარა რესპუბლიკის (იგი ქვეყნის სამხრეთში აზიასა და ევროპას შორის მდებარეობს)- ხალხიც იმას აცხადებს, რომ 1921 წელს საქართველო დაიპყრო ვლადიმერ ლენინის ბოლშევიკურმა არმიამ, დაარღვია რა ის ხელშეკრულება, რომელსაც ლენინმა ერთი წლით ადრე — 1920 წელს თავად მოაწერა ხელი.

1990 წლის 9 აპრილს ღამეს საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოიტანეს თბილისში ყვავილები ერთი წლის წინათ 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა პატივსაცემად.

იმ 9 აპრილის ღამეს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიტინგის 21 მონაწილე საბჭოთა არმიის ჯარისკაცებმა მხეცურად დახოცეს. დახოცილთა უმეტესობა ქალები იყვნენ — უმცროსი 16 და უფროსი 70 წლისა. ისინი ალესილი სასანგრე ნიჩბებით მიყენებული ჭრილობებისაგან დაღუპნენ. მრავალი ადამიანი მძუთავი გაზით მოიწამლა. ასობით დაჭრილი და ნაცემი მიიყვანეს იმ ღამეს საავადმყოფოებში.

მას შემდეგ ყოველდღე მიაქვთ თბილისელებს მათი დაღუპვის ადგილზე ყვავილები, სანთლებს უნთებენ მათ ხსოვნას. ლოცულობენ მათი სულისათვის. გლოვობენ.

...ქართველებისათვის განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოდ ყვავილები იქცა. საერთოდ როგორც ყველა, ქართველებიც ერთმანეთს ყვავილებს რომ უძღვნიან, ამით მისალმებას, მეგობრობასა და სტუმართმოყვარეობას გამოხატავენ. თბილისში მთავრობის სახლის წინ დაწყობილი ყვავილები კი სოლიდარობის, იმედისა და ურყევი გადაწყვეტილების გამოხატულებაა.

„ქართველები წითელს მხოლოდ ყვავილს აღიარებენ, მეტი ამ ფერისა არაფერი გვინდაო“ — გვეუბნება უნივერსიტეტის სტუდენტი ირაკლი.

იმ საბედისწერო ღამიდან სამი დღის შემდეგ — 1989 წლის 12 აპრილს ჩვენი ნაცნობი გოგონა ხატიაც მივიდა სხვა ათასობით ადამიანთან ერთად და თანამემამულეთა დაღუპვის ადგილზე ყვავილები მიიტანა. მაგრამ ის ყვავილები ისე გაიჭიმნთა საბჭოთა ჯარისკაცების მიერ გამოყენებული შომწამლავი გაზით, რომ ხალხის უმეტესობა, ვინც იმ დღეებში იქ ტრიალებდა, საავადმყოფოში აღმოჩნდა. მათ შორის ხატიაც. ამერიკელ მედიკოსთა ჯგუფმა „ვარაუდი“ გამოთქვა, რომ გამოყენებულ იქნა ძლიერი მომწამლავი გაზი ქლოროპიკრინი, რომელიც სერიოზულად აზიანებს სასუნთქ გზებსა თუ ფილტვებს.

წელიწადზე მეტი გავიდა შარშანდელი 9 აპრილის შემდეგ; ქართველთა მრისხანება კი არა და არ ნელდება. მთავრობის სახლის წინ მდგარი ორი ქანდაკება, რომლებიც საბჭოთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ წყობას განასახიერებდა, საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით აიღეს და მათ ადგილებზე აქ დაღუპულთა მოსაგონრად უბრალო ქვის მემორიალი დადგეს. თითქმის ყოველთვის დგას აქ ხალხის ჯგუფი, ანთია სანთლები და ახალი ყვავილები აწყვია. ხშირად საათობით მდუმარედ დგანან ახალგაზრდა ყმაწვილები, დამოუკიდებელი საქართველოს დროშით. ამ დროშაზე სამოცდაათი წლის წინანდელი შავი ფერი ჩვენს წარსულს აღნიშნავს, — მეუბნება 17 წლის სტუდენტი ნიკა, წითელი — ჩვენი აწმყოა, თეთრი კი — მომავალი.

...ზენობი — თბილისის უნივერსიტეტის რუსული ენის მასწავლებელი მიყვება, რომ მთელი წელიწადია სტუდენტები ლექციებზე მხოლოდ კამათობენ, ბჭობენ მომავალზე, ხვალინდელ დღეზე...

თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იმის იმედი, რომ თავის ქვეყანაში დამოუკიდებელ, თავისუფალ ქართველებად იცხოვრებენ — აი, რაზე ფიქრობენ ისინი.

ბაზარში, მაღაზიაში, კაფეში — ყველგან იმას ჰყვებიან ქართველები, თუ რა მოხდა შარშან 9 აპრილს, სჯერათ, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესი შეუქცევადია და რომ ეს ნანატრი თავისუფლება მხოლოდ მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით მიიღწევა.

ქართული ტრადიციული სადღეგრძელოს „გაგიმარჯოს“ ნაცვლად ახლა უფრო ხშირად ისმის „თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოს!“

ქართველები ძალიან სწუხან, რომ მათს შესახებ დასავლეთს წარმოდგენა ექმნება მოსკოვიდან მიღებული დამახინჯებული ინფორმაციის საფუძველზე და რომ დასავლეთის ბევრ სახელმწიფო მოღვაწეს კრემლთან კარგი ურთიერთობა ურჩევნია ადამიანთა უფლებების დაცვას.

„დასავლეთმა უნდა იცოდეს, რომ მის საგარეო ურთიერთობებს მორალური საფუძველი უნდა ჰქონდეს. ჩვენ თავს იზოლაციაში ვგრძნობთ. არავინ გვეგულება ის ერთი, ჩვენს ბრძოლას რომ უჭერდეს მხარს“ — მითხრა ადამიანთა უფლების დაცვის ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელმა, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ.

ვიდეოფირებისა და ფოტოების გარდა შარშანდელი ხოცვა-ყლეტის კვალი ატყვია რუსთაველის პროსპექტსაც — ხეები ბასრი ნიჩბებით არის დაჩეხილი, შენობების კედლები კი — ტყვიით დახვრეტილი.

...ეროვნული დამოუკიდებლობის დიპლომატიური მშვიდობიანი გზით მიღწევა წარმოადგენს საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად სტრატეგიას.

საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი საქართველოს მოსახლეობის მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობა იმაში გამოიხატა, რომ ბოიკოტი გამოუცხადეს საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით მოწყობილ არჩევნებს და ქართველთა გაწვევას საბჭოთა არმიის რიგებში. როგორც ეროვნული მოძრაობის ლიდერმა განაცხადა, მთავრობის მიერ დანიშნული პირველი მრავალპარტიული არჩევნების პარალელურად ისინი მოაწყობენ დამოუკიდებელი ეროვნული კონგრესის არჩევნებს, რომელიც ხალხის ნების გამომხატველი იქნება.

...წელს 9 აპრილს წინა დღეებში ადგილობრივი პრესა, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები დაბეჯითებით მოუწოდებდნენ ხალხს სიმშვიდისაკენ, რადგან ხმები გავრცელდა, რომ სტუდენტები რადიკალურ საშუალებებს მიმართავენ, თუ ჯარისკაცები კიდევ სადმე გამოჩნდებიანო. 25 მარტისათვის კი ელოდებოდნენ, რომ შეიძლებოდა იერიში მიეტანათ და დაენგრიათ ლენინის ძეგლი მისივე სახელობის მოედანზე. ჯარის ნაწილებმა ტანკები შემოარტყეს ძეგლს და ყოველი მხრიდან ჩაკეტეს მოედანი. ქართველები კი იდგნენ და სვირს უყურებდნენ. ძეგლზე „იერიში“ არავის უცდია. ძალის ასეთი დემონსტრირება ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ შეგვაშინებს, მაგრამ ეტყობა, კრემლს ამშვიდებსო — გვითხრა ნოდარ ნათაძემ, საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ.

...ამა წლის 9 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე თავშეყრილ ხალხს აგრესიულობის არაფერი ეტყობოდა. ათასობით ადამიანი იმისათვის შეიკრიბა, რომ პატივი მიეგოთ დაღუპულთათვის და კიდევ ერთხელ განეცხადებინათ შეურყეველი მოთხოვნა — თავისუფლება საქართველოს!

მიტინგი შუადამისას დაიწყო. მოზღვავდა ყვავილები, აინთო სანთლები. კაცს თავი ტაძარში გეგონებოდა... ისმოდა მრავალხმიანი ქართული სიმღერები, საგალობლები... თითქოს შარშან დილის ოთხ საათზე შეწყვეტილი მიტინგი გაგრძელდაო — ისეთივე ამაღლებული, მღელვარე განწყობილება დაეუფლა გადაჭედილ რუსთაველის პროსპექტს... თვალწინ წარმომიდგა შარშანდელი ამბავი... დაჩოქილი, სანთლებანთებული ხალხი, კათალიკოსის ლოცვა-კურთხევა და უცბად ტანკები, ბასრი ნიჩბებით შეიარაღებული ჯარისკაცები, ქალებისა და ბავშვების ჩეხვა... ამ ამბავს რომ ჰყვებიან, ქართველები აუცილებლად იხსენებენ იარაღჩამორთმეულ მილიციელთა თავგანწირვას, ჯარისკაცებსა და დემონსტრატებს შორის რომ ჩადგნენ და უამრავი ადამიანი სიკვდილს გადაარჩინეს...

...წლევანდელი 9 აპრილის ღამესაც ისევე დაიჩოქა სანთლებანთებულმა ხალხმა, ლოცვა აღავლინა... დაღვარა წმინდა ცრემლი.

მხოლოდ ერთხელ დაკარგეს შეკრებილებმა ღირსეული წონასწორობა, როცა შარშანდელი ხოცვა-ყლეტის ერთ-ერთი მთავარი დამნაშავის გენერალ როდიონოვის ფიტული ცეცხლს მისცეს. ჩემს გაოგნებულ დიდი და პატარა ერთხმად მღეროდა „თავისუფლება საქართველოს!“

მიტინგი დაახლოებით დილის 7 საათისათვის დაიშალა. რუსთაველის პროსპექტს მოვუყვებოდი... გზად ხალხის პატარ-პატარა ჯგუფები მხვდებოდა. ერთგან ცეკვავდნენ, ცეკვავდნენ ისე, როგორც შარშან. ვიდექი და შევცქეროდი მოცეკვავეებს... ეს გედის ფრთებივით გაშლილი მკლავები დამამახსოვრდა...

ჯიმ მოლნარი
გაზეთი „ხიეთლ თაიმზ“
ამერიკა

სხვა გაზეთიდან

„ვაჩუქოთ ქართველთს გულები“

ინფორმაცია

ის-ის იყო ერთ-ერთმა სტუმარმა ფოტოაპარატი მოიმარჯვა იმ დღევანდელი შეხვედრის ფირზე აესაბეჭდად, რომ დამფრთხალი პატარა მასპინძლები ოთახიდან გაცვივდნენ. — საერთოდ, კოლონიაში მყოფი ბავშვები სურათის გადაღებას ერიდებიანო — დაამშვიდეს დაბნეული სტუმრები მასპინძელთა — ზემო ავჭალის კოლონიის არასრულწლოვანების აღმზრდელმა პედაგოგებმა. ფოტოგრაფიის მრავალგზის „დაპირების“ შემდეგ გაცნობა შედგა, თუმცა სტუმრებს — ცნობილ ქართველ მსახიობებს — ლია ელიავას, მედეა ჩახავას და ელენე ასლამაზიშვილს, — წარდგენა არ დასჭირვებიათ. მათთან ერთად თანატოლებს ხალხური საკრავების ტროის (ხელმძღვანელი ომარ კელაპტრიშვილი), წევრებიც ესტუმრნენ. მსახიობებმა თავიანთი მოღვაწეობიდან სხვადასხვა ეპიზოდები გაიხსენეს. მათგან გამოვლენილმა სითბომ, თანაგრძნობამ და თითოეული მოზარდის ბედისადმი გულწრფელმა დაინტერესებამ ბავშვები უფრო გაათამამა, გულახდილი საუბრისათვის განაწყო.

დღეისათვის კოლონიაში მხოლოდ 25 არასრულწლოვანია. აღმზრდელ-პედაგოგთა თანადგომით, ალბათ, ბევრს კვლავ ვადაზე ადრე გაათავისუფლებენ. დაგვეთანხმებით, ასე სჯობს იმ მოზარდისათვის, შეცდომა ცხოვრებისეულმა პირობებმა რომ უკარნახა. მაგრამ ეს შეცდომა აღარ უნდა განმეორდეს. იმდღევანდელმა შეხვედრამ ამაზე, ალბათ, ერთი წუთით მაინც ჩააფიქრა კოლონიის არასრულწლოვანები, გამომშვიდობებისას ისინი ახლა თავად სთხოვდნენ ფოტოგრაფს, მათთვის სტუმრებთან ერთად სამახსოვრო სურათები გადაეღო. ამ შეხვედრის ინიციატორი გახლდათ საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელი სოფიო (ლუიზა) ასლამაზიშვილი, მან პირველი ამგვარი ღონისძიება ბავშვთა კოლონიაში ჯერ კიდევ 1974 წელს მოაწყო.

●

მეორე დღეს ლუიზა ასლამაზიშვილი, მსახიობები ლია ელიავა, ელენე ასლამაზიშვილი, პოეტ ნელი გაბრიჩიძესა და თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგ მადონა ცომაიასთან ერთად ქალთა კოლონიას ესტუმრნენ. მასპინძლებმა მათ თავიანთი საწუხარი გაუზიარეს. ისინი ხომ წლობით არიან იზოლირებული ოჯახებისგან. ხშირად შვილებისათვის ტრაგიკულია დედისგან ეს მრავალწლიანი იზოლაცია. ბევრი ქალი კოლონიაში ფულის გაფლანგვისათვის მოხვდა. ახლა ნანობენ, რომ უსახსრობის გამო მაშინ ვერ გაუძღეს ცდუნებას. უკვე ერთი წელია, რაც 47 ქალის განთავისუფლება გადაწყდა, მაგრამ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი ბრძანება გვიანდება. ეს ქალები ოჯახებს დაუბრუნდებიან და თან რომელიმე ორგანიზაციაში იმუშავებენ. დანარჩენთაგან ბევრს დიდი სურვილი აქვს, სასჯელის დარჩენილი ვადა ასე მოიხადოს. შეხვედრაზე პატიმრებმა კატეგორიულად მოითხოვეს რუსეთში სასჯელის მოსახდელად გაგზავნილი ქართველი ქალების სამშობლოში დაბრუნება. იქ ყოფნა მათთვის მით უფრო მეტი სატანჯველია. სამაგიეროდ, სათანადო ორგანოებმა, ალბათ, უნდა იზრუნონ სხვადასხვა რესპუბლიკიდან ამ კოლონიაში ჩამოყვანილი პატიმარი ქალების უკან დაბრუნებაზე. ხშირად ისინი თავიანთი ზნეჩვეულებებით ძალიან აღიზიანებენ აქაურებს.

ტკივილი უფრო იგრძნობოდა ამ შეხვედრაზე, ვიდრე სიხარული, მაგრამ სტუმარ-მასპინძლებისათვის იგი მაინც დაუვიწყარი იქნება.

ვორალისა და საქართველოს განყოფილება

ლია ფერილი

სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს ილია II

უწმიდესო და უნეტარესო, ჩემს მშობლიურ ძირძველ ქართულ სოფელში ერედვში (სამხრეთ ოსეთი, ცხინვალის რაიონი) აღმართულია 906 წელს წმინდა გიორგის სახელზე აგებული ეკლესია, ვახუშტი ბატონიშვილის თქმით სასწაულიანი (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 370). ეს ეკლესია კარგახანს ხარბლის საცავად იყო გამოყენებული და ათეული წლების განმავლობაში მღვდელთმსახურებას იყო მოკლებული. თუმცა აქაური მორწმუნენი ოჯახებში ლოცვას არ წყვეტდნენ და დღესასწაულებზე ეკლესიის კარიბჭესთან სანთლებსაც ანთებდნენ.

ამჟამად ეკლესიაში შემორჩენილია ძველი ხატები. შენობა რესტავრირებულია, დაცულია სახელმწიფოსგან — ჰყავს მცველი, მაგრამ არა ჰყავს მღვდელი, რის გამოც მოკლებულია მღვდელთმსახურებას.

ერედვთან მუდმივი კავშირი მაქვს და ვიცი თანასოფელელთა სურვილი — საკუთარ ეკლესიაში აღდგეს ძველებური საეკლესიო რიტუალი — ლოცვა-კურთხევა და აფორიაქებული სულის დამამშვიდებელი გალობა, ზარის გუგუნი და ჯვრისწერა.

გთხოვთ, უწმიდესო და უნეტარესო, შიდა ქართლის რიგით სოფელ, ერედვში, წმინდა გიორგის ეკლესიაში სამოღვაწეოდ დანიშნოთ შტატიანი მღვდელი და ეს ეკლესია ჩარიცხოთ მოქმედ ქართულ ეკლესიათა სიაში. ამით კიდევ ერთი კარგი საერო და სამღვთო საქმე გაკეთდება.

ვიტოვებთ იმედს, რომ ერედვის ეკლესია თქვენი პირადი ლოცვა-კურთხევით ამოქმედდება.

ღრმა პატივისცემით
ვახტანგ ცოტნიაშვილი,
გამომცემლობა „ნაკადულის“ რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექო

„მე აფხაზმა ხალხმა გამზარდა“

გვესაუბრება შვილმკვლარი დედა ბაბუცა შამათავა

მოთქმითა და გოდებით ქართველ კაცს ვერ გააკვირვებ, და მაინც, სულ სხვანაირად შეგძრავს და აგაფორიაქებს, როცა შვილმკვდარი დედა იტყვის: მე გული არასოდეს მტკიებია, ახლა ამტკივდა, ალბათ, იმიტომ რომ მასზე ხშირად მუშტებს ვირტყამდიო...

ცარიელი ემოციებისგან დავიქანცეთ, არც უდანაშაულოდ დაღვრილ სისხლზე ტირილსა და ვაებას მოაქვს შვება.

განსაცდელის ჟამს განგებამ საქართველოს ჰირი ჰირზე დაურთო, ოდითგან არსებულმა ყველა სატკივარმა ერთად აიშვა და შეგვახსენა თავი; ქართველებმა მტრის სუნი იკრეს თუ არა, ერთი დროშის ქვეშ თავმოყრაც მოახერხეს, მოღალატესთან დაპირისპირებაც და მისთვის მიტევებაც, მერე გათიშვაც მოასწრეს და ერთმანეთის მოღალატეებად შერაცხვაც. ქართველ ერს, ვგონებ, დროის ასე მცირე მონაკვეთში ასე სრულად არასოდეს გაუმჟღავნებია თავისი ხასიათი.

ერსა და ბერს ახლა კონკრეტული საქმე სწყურია, მკვლელისა და მოღალატის გაბედულად მხილება. ჩვენ კი უძლურნი გავმხდარვართ, ეჭვმიტანილი ვერ დაგვისახელებია, ყველანაირი ნიჭი და უნარი უსამართლობისა და ძალმომრეობის სამსახურში ჩაგვიყენებია...

ჩვენი კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, ბედიის მონასტერი გალელებისთვის უსიტყვოდ დაგვითმია, მისი კვლევა-ძიებისა და ჩვენად მოხსენიების გვეხათრება კიდეც. რა არის ეს, არაფრისმთქმელი მოჩვენებითობა, რა სულგრძელნი ვართო, თუ უნუბლიე აღიარება ჩვენი დამარცხებისა, უსიტყვო კაპიტულაციისა, წინაპართა კულტურისა და ტრადიციების ვერმოვლისა.

15-16 ივლისის ტრაგედიიდან წელიწადი გასრულდა, კიდევ ერთხელ შევხედეთ თვალებში მომხდარ ტრაგედიას, როგორ გვიმუხთლეს და მერე როგორ შერჩათ ეს ღალატი ქართული ჯიშისა და მოდგმის მტრებს. „დანაშაულის დაუსჯელობის შიშმა შემოგვიტია“ — წერდა ვიღაც და ვაგლახ, რომ ამ შიშს ჯერჯერობით მყარად უკიდია ფეხი, ვაგლახ, რომ მას ვერ დაუპირისპირდა კეთილი ძალა, რომელიც უნდა აღმოჩენილიყო აფხაზ ერში, თუ ის ჯანსაღი ერია და მას, მომავალ არაკოსმოპოლიტურ სამყაროში არსებობა უწერია. გადარჩენის ეს გზა აქამდე არ ჩანს და ვინძლო გამოჩნდეს.

მანამდე კი მათთვის განაჩენი მათსავე სისხლისა და ხორცის, 15-16 ივლისის ტრაგედიის ერთ-ერთი მსხვერპლის, ოქუმელი ნური შამათავას დედას, ქალბატონ ბაბუცა შამათავას გამოაქვს. და ეს არ არის მხოლოდ ერთი ქალის მიერ გამოტანილი განაჩენი, მის უკან დგას ყველა კეთილი ნების ქალი, მის უკან დგანან ნურის დაობლებული მაია და მამუკა, მეუღლე ლიანა, იმ ტრაგედიისას დაღუპულთა სხვა ოჯახებიც:

— მამა ქართველი მყავდა, დედა აფხაზი, კობახიას ქალი, რა ვუთხრა ჩემს წინაპარს, თორემ კობახიას აფხაზობა სად თქმულა, 5 წლისა დავობლდი, არც და დამრჩა და არც ძმა. დედის ძმამ გამზარდა, ოჩამჩირის აფხაზურ სკოლაში ვსწავლობდი, მაგრამ არასოდეს დამიკონკრეტებია, აფხაზი ვიყავი თუ ქართველი.

იმ ავბედით ღამეს გვიან გამაღვიძეს, ნურის ორივე ფეხის მოტეხილობა აქვსო. მე უმალ იმ დილით თბილისში წასული ნურის გამო შევშფოთდი, გზად უბედურება ხომ არ შეემთხვა-მეთქი. გალის შესასვლელთან ზღვა ხალხი ირეოდა, რომ გავიკვირვე, მითხრეს აფხაზებმა არეულობა ჩამოაგდეს და ხალხი იმიტომ ვერ იძინებსო. გაზვიადება მეგონა, აფხაზი ხალხის ღალატი ვერ წამოვიდგინე. მერე რაც ვნახე, არც ერთ დედას არ ენახოს... ნური ისეთი ტკბილი შვილი იყო, ყოველ ჩემს სატკივარს უსიტყვოდ მიმიხვდებოდა ხოლმე. უბედურებისგან გაოგნებულს იმ ღამესაც და მეორე დღესაც ვესმოდა, ამბობდნენ, აფხაზებმა მოკლეს ნურიო, მაგრამ ვერ ვიჯერებდი. ალბათ, ჩემს გასაგონად ამბობენ ამას, თორემ აფხაზი ჩემს შვილს, მხოლოდ იმიტომ რომ ქართველი იყო, როგორ გაიმეტებდა-მეთქი.

ვაი, რომ მერე დავიჯერე კი არა, ჩემი ფეხით მივედი მკვლელად ნათქვამი კაცის სახლთან. ისინი დედა-ბუდიანად გაკრეფილიყვნენ. ჭიშკართან იყიდება სახლკარიო, მიენიშნებინათ. მე ჩვენს მთავრობას, მთელ საქართველოს ვეკითხები, თუ არ იყო ის კაცი დანაშავე, მაშინ რატომ პიყარა იქიდან? რატომ დასჭირდა ერთ-ერთი უწყების მიერ გაცემული ყალბი ცნობა, 15-16 ივლისს ოჩამჩირეში არყოფნის შესახებ. სირცხვილი ჩვენი, კაცი, რომელიც იმ დღეებში თავისი სამსახურებრივი მანქანით ღალიძგის ნაპირებს იკლებდა და ქართველების გამოჩენისას: „ცეცხლიო“ — დასჭექა თურმე, დაგვიწინაურეს, ახლა კიდევ უფრო ზევით ზის (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქალბატონი ბაბუცა იმ პიროვნების ვინაობის საქვეყნოდ გამხელას კატეგორიულად ითხოვდა, მაგრამ... რადგან დაშინებულმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ეს ფაქტი ჯერჯერობით არ თუ ვერ დაადასტურეს, ჩვენც თავს ვიკავებთ და ამ თავშეკავებით კიდევ ერთხელ ვიწვევთ უბედური დედის გულისწყრომას...).

— ხალხი არ ცდება, ის ყოველთვის სიმართლეს ამბობს, — აგრძელებს ქალბატონი ბაბუცა, — აბა, სხვაზე რატომ არ თქვეს, სხვას რატომ არ დააბრალეს ჩემი შვილის მკვლელობაში გარევა? რატომ მაინცდამაინც ეთერ ბოიკოლიზე თქვეს: ნურის სისხლით ხელი მოისვარა და დაიძახა, ასე უნდა მოვისვარო ყველა ქართველის სიხლით ხელიო.

მე ღალიძგიდან ორას მეტრში გავიზარდე, დღესაც იქ ცხოვრობს ჩემი გამზრდელი ოჯახი, ხიდთან რომ დაიძახო, ხმას მიაწვდენ, ამ ხმის მიწვდენის იმედი ჰქონდა, ალბათ, ჩემს ნურის, ეგონა, მთელ აფხაზ ერს მიაწვდენდა ხმას, რას სჩადით, გონს მოდითო... ბუნებით მიმნდობსა და ერთგულს, სხვისი ერთგულებისაც სწამდა, აფხაზი ხალხის ღალატისა არ სჯეროდა. გულუბრყვილოდ, ხელგაწეული, საკინძშეხსნილი მიიწევდა მათკენ და სწორედ მაშინ ესროლეს, მოუკვდეს დედა, ნდობამ დაღუპა. შაპაბასს არ უქნია ასეთი ვერაგობა. მე ჩემს აფხაზ ხალხს ვეკითხები: ასე უიარაღოდ მომავალი კაცისთვის ოდესმე უსვრია ჩვენს წინაპარს?...

ნუთუ, ჩვენმა მთავრობამ სრულიად მაყის გრძნობა საერთოდ დაკარგა, ნუთუ, ოდნავადაც არ აწუხებს, რომ როცა ისინი თავიანთ ხალხს ღალატობენ, მათ ინტერესებს უგულებელყოფენ, სწორედ ამ დროს აფხაზები ერთმანეთის გატანისა და ერთგულების ზღვარს აღწევენ.

ხალხმა იცის სიმართლე, ის მას იტყოდა კიდეც, მაგრამ რადგან ხედავს, ამ მკვლელობებზე მთელი წლის მანძილზე ერთი კაციც არ დაუპატიმრებიათ, ეშინია, საქმეს მაინც არ გახსნიანო და გაჩუმებას ამჯობინებს... აბა, დაიძრას საქმე?...

მე აფხაზმა ხალხმა გამზარდა და მანვე დამღუპა. ობლად გაზრდილს, სიკეთილის ჟამს დამტირებელი

ზუსტად ერთი წლის წინათ აფხაზეთში დატრიალებული ამბების მსხვერპლი გახდა ქართველი პატრიოტი ვოვა ვეკუა. მიხი ხსოვნის აღსანიშნავად გთავაზობთ ვოვას ორ ლექსს.

საქართველო და თავისუფლება

მე არ მღლის ჩემი სამშობლოს ტრფობა,
სისხლი ძარღვებში დულს.
ვერა, ვერ ბორკავს სულს სინანული,
მგზნებარე სიტყვა ჰქუხს...
დღეს ვეღარ მღერის ბულბული ჩვენი,
საამო ჰანგი სდუმს,
გასცქერის სევდით მარადისობას,
თავისუფლება სურს.
საქართველო და თავისუფლება!
გესმით? რა კარგად ღღერს!
წმინდა სამების მადლი მოეცხოს
ჩვენს განაწამებ ერს.
რად მოიდრიკე, ვაჟკაცო, ქედი.
გესმის, ჰოროლი სცემს,
სპათა სულები აღმდგარან მკვდრეთით,
ზლიან ჩვენს დროშას, დროშას ჩალისფერს...
ჯვარი მიგვიყვანს სასუფევლამდე,
ხელი-ხელს — ფული-ფულს,
კოლხ-იბერებო, ხორუმი, ჩქარა!
— ხმალი ქარქაშში სწუხს...
საქართველო და თავისუფლება!
გესმით, რა კარგად ღღერს,
წმინდა სამების მადლი მოეცხოს
ჩვენს განაწამებ ერს!

20. 05. 87.

●

თუ კი სულთან ვარ მე მარტოდ-მარტო,
შარავანდედით ვარ შემოსილი,
ვგრძნობ ამაღლებას, სიმწმინდეს სულის,
ვარ სიყვარულის მუდამ მორჩილი...
შევნატრი ბრძენებს, გმირებს, რაინდებს,
ვისაც სიწმინდე გულს ჩაებეჭდათ.
ვისაც უნათებს ლამპრად სამება:
ერი, სამშობლო და ქრისტეს რწმენა.
შევნატრი დედას, ვინც მძიმე ჭირში
შვილი თავისი აღზარდა კაცად,
თავისუფლება და სიყვარული
არ იპოვება იოლად არსად...
შევნატრი კაცებს, მტკიცე სიმშვიდით
ვინც გამოჭედა სული ძლიერი,
ვინც ხედავს ნათელს შორეთის მიღმა
და რწმენით ამით არს ბედნიერი.

თუ კი სულთან ვარ მე მარტოდ-მარტო

19. 03. 87

ექო

წასვლა გაპართლებული იყო და აუცილებელი

ამ წლის 10 იულის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნილდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომაზე ფილოსოფიის დოქტორი ბესიკი ნუსხიაშვილი ადგა სიტყვას „ენა, ეროვნული ფასეულობა“ ბატარი ბიბლიოგრაფიული ანოტაციებით. ბატარი ბიბლიოგრაფია ეხება 1990 წლის 25-30 იანვარს ლონდონში ჩატარებული კავკასიოლოგთა V კონგრესიდან შემოტანილი ანოტაციებს, რომელნი ინიციატორი ბატონ ბესიკისა ნაბეჭდია „ენა“ ბოლო ნომერში.

ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოება ჩამოყალიბდა 1983 წელს კავკასიოლოგთა III კონგრესზე, რომელიც ნორეგიის ფიორდებზე ოსლოში ჩატარდა.

კოლეგიუმში ტარდება ორ წელიწადში ერთხელ.

კავკასიოლოგთა საზოგადოების სამშობლო ენებია: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული და ქართული.

პრეზიდიუმის შემადგენლობა ასეთია: პრეზიდენტი, ვიეე-პროზიდენტი, მდივანი, ხაზინადარი. ორი თავთავისული წევრი.

საზოგადოების მიზანია: ფართო პრობლემები: დიუზენის ამერიკელ კავკასიოლოგთა ენების შესწავლის მიელი მნიშვნელობა ბასტანთ, ხელი შეეწყოს სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლას.

1985 წელს შეიქმნა ამერიკელ კავკასიოლოგთა საზოგადოება, რომელიც ანალოგიურ მიზნებს ისახავს. აქვე უნდა თქვას, რომ ეს არ უნდა გავიგოთ როგორც ვანკერიზმის სიტყვალი, პირიქით; ამერიკელი კავკასიოლოგები აქტიურად მონაწილეობენ ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოების საქმიანობაში, ხოლო ეროპელ მეცნიერ, როგორც კავკასიოლოგთა საზოგადოების ვიეე-პრეზიდენტი. გამეფეთის მუშაობასაც წარმართავს სხვებთან ერთად.

●

კავკასიოლოგთა V კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან ლონდონს გეგეშაურენენ თბილისისა და სოხუმის სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები, კერძოდ, თბილისიდან წარგზავნილნი იყვნენ:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ბესარიონ ჯორბენაძე**, პროფესორი **ალექსანდრე ბამიმეტოდი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **გურამ თოფურია**, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები: **შალვა ფეფიფანაშვილი, ვლადიმერ კალანდაძე, მაია მაჭავარიანი**;

ავაზეთ ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წარმომადგენელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **ირაკლი სურგულაძე**;

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პროფესორი **ზურაბ სანიკიძე**, ფილოლოგიის დოქტორი **ნინა ბენიაშვილი**.

სოხუმიდან: აფხაზეთის დიპლომატიკის ინსტიტუტის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვლადისლავ არძინბა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი: ნელი არშბა, საირა ამოეგი და ბორის ჯინეკა.

კოლოკვიუმის თემატიკა ასეთი იყო: ბერეიულ-კავკასიური ენათა ისტორიისა და სტრუქტურის საკითხები, მიღებული შედეგების ზოგადთეორიული განზოგადება; ინდოევროპულ-კავკასიური ენათა შესწავლა სოციოლოგიური თვალსაზრისით, რაც გულისმხმილ ამ ენათა გენოტიკურობის და ფუნქციონირების კვლევას.

გარდა ამისა, რამდენიმე მოხსენება მიეძღვნა კავკასიის ხალხთა ენათმეცნიერების ნაწილს. გადმოცემულ ამ ანოტაციებში ბევრ ინფორმაციას ეხება ალსარულის წინაშე დგას; აუცილებელია დოკუმენტებისა და სასწრაფო მოკვლევა. ამიტომ, მოითხოვს: „კავკასიური ენებისა და კულტურის საერთაშორისო წრის“ ჩამოყალიბებას ევროპის კავკასიოლოგიურ საზოგადოების დამამაგრებთია და მხარდაჭერით.

„სამშობლო წრის“ მოდგაწეობა განისაზღვრება მხოლოდ ენობრივი და კულტურული დარგებით, ხელს შეეწყობა პუბლიკაციათა, სასწავლო პროგრამებისა და დოკუმენტების დამზადების, აგრეთვე გამოფენათა და სხვა ეროვნულ-კულტურული ღონისძიებების მოწყობის, და რაც მთავარია, ანბანის შექმნის ანბანის არმქონე ენებისათვის, რათა იხსნას ისინი დაღუპვისაგან.

ეკასათვალსწინებელია, რომ დოკუმენტები დიალექტიკის ყველა წესის დაცვით არის შედგენილი. გარეგნულად, თითქოს, აჯაბაგაში არაფერია, ბარიქეთ, ულაბა ბიეასლოთო ყველა ეროვნული ენის დაცვის იღეას, მაგრამ თავაკინ აქ ის დაფარული აზრია, რომელიც ჩვენ შემთხვევაში ქართველი ენის ერთიანობას უქმნის საფრთხეს (ლუკვის გაუკვრიდეს და ზოგჯერ მსჯელობენ ლიმოსაფიდან საქართველოს მთის რეგიონის ქართველი ტომების გაგებიერძოებაზეც კი).

სამეფოდიერო, საზოგადოების გამგეობამ და მთლიანად პოეზიოლეს სხდომამ (ქართველი და ამერიკელი მეცნიერების დასასტოებელი გამოსვლა შემდეგ). ეს რეზოლუციაა ყველა თავადი შეწყობრებით უარო, როგორც ინიციალური სურათის ამსახველი ლიტერატ.

●

კოლოკვიუმის მუშაობაში მონაწილეობდა 54 მეცნიერი — ჰოლანდიიდან, კანადიდან, თურქეთიდან, ინგლისიდან, ეაობაკეთ ბელორუსიდან, ნორვეგიიდან, აშშ-დან, შვეიცარიან. სხარ-დან... სამწუხაროდ, დიდი სურეფილის მიუხედავად, ლონდონში ვერ ჩამოვიდნენ იაპონელი, ალბანაელი ბერძენელი და ინდოელი კავკასიოლოგები. კოლოკვიუმზე წაკითხული ანოტაციებიდან ბევრ ინფორმაციას ეხება ალსარულ ენებზე. ეფეკრბა, ბოლოდროინდელ ეროვნულ-ეთნიკურ ფერხულებზე ენობრივ ინფორმაციას ეხება ალსარული ენა. ეს ენებია ალსარული, ინგუშური, ბალკარული, ყარაჩაელ-ჩერქეზული, ადიგეული, ოსური, ინგილოური, ბაცბური, ბეჟიტური, ხუნზაღური, ბოსნიური, ალბანური, ბერძნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის შეხვედრები

11 ივლისს გაიმართა მრგვალი მაგიდის XX შეხვედრა. მოისმინეს ბატონ ზვიად ბოკუჩავას ინფორმაცია. საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო ჯგუფმა მიაღწია შეთანხმებას საარჩევნო კანონის ყველა პუნქტზე, გარდა ერთისა — საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი შეიძლება არჩეული იქნას ხელისუფლების მხოლოდ ერთ არჩევით ორგანოში;

ბატონ ნოდარ მოსულიშვილის ინფორმაცია: „ცეკავშირმა“ გამოაქვეყნა განცხადება 10 საწარმოს გაყიდვის თაობაზე. საწარმოთა ქაღალდის ფულზე გაყიდვის პროცესი მთელ რიგ წინააღმდეგობებს შექმნის მომავალ საქართველოში ბანკის დაარსების საკითხში.

ბატონ თენგიზ სიგუას ინფორმაცია მიწის კოდექსის შესახებ (ეს კოდექსი გარდამავალი პერიოდისთვისაა განსაზღვრული).

გადაწყდა შეიქმნას ეკონომიკური კომისია, რომელიც იმუშავებს საზღვარგარეთის ფირმებთან ხელშეკრულებების დადების, საწარმოთა გაყიდვის და სხვა ეკონომიკურ საკითხებზე და კომისია, რომლის მიზანიც იქნება სუკში საჯაროობის შეტანა.

მოისმინეს ბატონ გიორგი მარჯანიშვილის ინფორმაცია ჟურნალ „ოქტიაბრის“ 1990 წლის მეხუთე ნომერში გამოქვეყნებული ა. სახაროვის „ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციისა“ და ლ. ბატკინისეული კომენტარების თაობაზე. რედაქციამ სახაროვისეული პროექტი გამოიტანა საჯარო განხილვისათვის. ეხება რა ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების მომავალი კავშირის ეროვნულ მოწყობას, ბატკინი წერს, რომ სახაროვის კონსტიტუციით ისპობა „სსრკ-ს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სტალინური დაყოფა ოთხ კატეგორიად, რომლებიც ვერტიკალურად ექვემდებარებიან მათგან უმაღლესს — მოკავშირე რესპუბლიკას. ისევე, როგორც მოკავშირე რესპუბლიკები თავის მხრივ ექვემდებარებიან იმპერიულ, ზეეროვნულ ცენტრს. ისპობა არათანასწორუფლებიანი „მოწყობა და ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით ხელს აწერს სსრკ-ს ყველა ყოფილი ნაწილი მიუხედავად ზომისა, საგარეო საზღვრის არსებობისა და მოსახლეობის რაოდენობისა (გვ. 169)... არ შემიძლია, დავდუმდე იმაზე, რომ დღევანდელი ძალადობა და კონფლიქტები, განსაკუთრებით ამიერკავკასიაში სათუოდ ხდის წყნარ, ცივილიზებულ, რაციონალურ ევოლუციაზე გაანგარიშებულ სახაროვისეული პროექტის განხორციელებას. ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით ანდრეა დიმიტრის ძესთან იმის თაობაზე, თუ რად შეიძლება ქცეულიყო ახლა როდესაც საუბარია მთიან ყარაბაზზე, აფხაზეთზე, სამხრეთ ოსეთზე და ა. შ. ასეთი კონსტიტუციის ამოქმედების ცდა... მაგრამ სწორედ ასეთ „უიმედო“ მდგომარეობაში რწმუნდებოდა რა, რომ ნებისმიერი წინადადება და გეგმა იმსჯვრევა პოლიტიკურ რეალობასთან შეჯახებით, რომ გასავალი არა აქვს გონივრულ კომპრომისებს, ანდრეი დიმიტრის ძეს (სწორედ ამიტომ) ყველაზე პრაქტიკულად მიაჩნდა პრინციპის თანმიმდევრული განხორციელება... სახაროვის პროექტი ზედმეტად კარგია სამყაროსათვის! დაიღვრება სისხლი? ღმერთმა არ ქნას, მაგრამ სცადეთ რაიმე უფრო რეალისტურის შემოთავაზება, ისე, რომ სისხლი აოავითარ შემთხვევაში აღარ დაიღვაროს. ისეთი გადაწყვეტა, ყველას რომ აწყობს, არ არსებობს და სამწუხაროდ, არც შეიძლება იყოს“...

იდეა ერთიანი, დიდი რუსულ-ნოვანი სახელმწიფოს შექმნისას საქართველოს კუთხე-კუთხე და ტომ-ტომ დანაწილების ხარჯზე ცენტრალისტული, იმპერიალისტური წრეების შემდეგ პირველად ე. ი. სტალინმა ჩამოაყალიბა ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ (1913). სახაროვის პროექტი საქართველოს მიმართ ფაქტიურად წარმოადგენს ბოლშევიკური ეროვნული პოლიტიკის უშუალო გაგრძელებას, წარმოადგენს 1921 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მორიგი უხეში დარღვევის მცდელობას და შეიძლება დახასიათდეს ისეთი პარადოქსული ცნებით, როგორიც არის ლიბერალური ნეოსტალინიზმი. ფაქტიურად საქმე გვაქვს ცენტრის მიერ დაძაბულობის ესკალაციის მორიგ მცდელობასთან.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მთლიანად გაიზიარეს ბატონ გიორგი მარჯანიშვილის მოსაზრებები და გადაწყვიტეს მოუწოდონ ქართველ საზოგადოებას წინ აღუდგენ საქართველოს დანაწილების, სისხლისღვრისა და ძალადობისაკენ მოწოდებას, რის მაგალითსაც წარმოადგენს ჟურნალ „ოქტიაბრის“ პუბლიკაცია.

13 ივლისს გაიმართა მრგვალი მაგიდის XXI შეხვედრა, რომელზედაც აღინიშნა, რომ საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო ჯგუფში ვერ იქნა მიღებული გარკვეული პასუხი სესიის მოწვევის თარიღის შესახებ (ხელისუფლების წარმომადგენელთაგან). ახალი საარჩევნო კანონის მიღების ბედი ჯერჯერობით სათუოა. გადაწყდა, რომ 18 ივლისისათვის მოითხოვონ სამუშაო ჯგუფის სპეციალური შეკრება, რომელზედაც შეთავაზებენ პოლიტიკური პარტიების არჩევნებში მხარდამჭერთა სიის ბლანკის ბატონ თენგიზ სიგუას მიერ შემოთავაზებულ ფორმას, გამოაქვეყნონ საარჩევნო კანონის მრგვალი მაგიდისთვის მისაღები ვარიანტი (ეს ვარიანტი მისაღებია სამუშაო კომისიის მონაწილე რიგი პოლიტიკური და სხვა ორგანიზაციებისთვისაც).

მოისმინეს ბატონ გელა ჩორგოლაშვილის ინფორმაცია, მრგვალი მაგიდის წევრების — ე. წ. „თურქი მესხების“ ორგანიზაციის „ვატანის“ წარმომადგენლებთან შეხვედრის თაობაზე, ისინი მოითხოვენ საქართველოში ეტაპობრივ შემოსახლებას. აპირებენ აგვისტოში მოსკოვში მიტინგის გამართვას და შემდეგ აფხაზეთის მხრიდან საქართველოში შემოსვლას. ჩვენ გავაცანით მრგვალი მაგიდის პოზიცია: ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოში მოქალაქის სტატუსის მიღების შემდეგ, დემოკრატიულად და პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში არჩეულ საქართველოს პარლამენტის და მთავრობის მიერ. ორივე მხარემ გადაწყვიტა დიალოგის გაგრძელება.

აღინიშნეს ლენინგრადის ქართველ ექიმთა მარნეულში ჩამოსახლებისათვის საჭირო მუშაობის ჩატარების აუცილებლობა. შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება ეთხოვა ქალბატონ ნანა ზარნაძეს (ლენინგრადელი ექიმი).

მიიღეს წერილობითი დოკუმენტი მოშიმშილე პატიმართა მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე (პატიმრები მოითხოვენ ძიების დაჩქარებას, სისასტიკისა და კორუფციის მხილებას). მოისმინეს ქალბატონ რუსუდან ბიჩინაშვილის (არქიტექტურის კომიტეტის თანამშრომელი) ინფორმაცია. „სოვეტსკაია ტორგოვლიაში“ გამოქვეყნდა მიმართვა აფხაზეთის ერთ-ერთი კოლმეურნეობის იჯარით გაცემის თაობაზე 25-50 წლის ვადით.

ახალქალაქის ხელისუფლებისაგან მიღებულია მოთხოვნა სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე. მიღებულია სიტყვიერი განმარტება, ნაკვეთი ესაჭიროება მერაბ კოსტავას სახელობის ფონდს მშენებლობისათვის. გადაწყდა პირველი საკითხის შესწავლა. მეორეზე ბატონმა ვაჟა ადამიამ გასცა პასუხი — ფონდი ახალქალაქში არავითარ მშენებლობას არ აწარმოებს.

მოისმინეს მერაბ ქათამაძის (ახმეტის მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი) ინფორმაცია საზოგადოების მიერ ახმეტის თვითმართველობის შექმნის წინააღმდეგ მიმართული აქციის დარბევისა და მონაწილეთა მიმართ რეპრესიების დაწყების წინაღმდეგ. გადაწყდა პრესაში გამოქვეყნდეს მასალა ამ ფაქტის თაობაზე.

14 ივლისს მრგვალი მაგიდის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ სოფელ მატანსა და ახმეტაში ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების 102 წლისთავისადმი მიძღვნილ სახალხო ზეიმს.

საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნე“

გაზეთ „სახალხო განათლების“ განცხადება

ალტერნატიული ფურცელი

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ 17 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა მასალა სათაურით „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შეხვედრები“.

ამ პუბლიკაციის ყველა პუნქტს ჩვენ არ შევეხებით — არც გვაინტერესებს. მაგრამ მისი მეორე აბზაცი ჩვენ გვეძღვნება და, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია. „პარტიის კრებაზე დაგმობილ იქნა გაზეთ „სახალხო განათლებაში“ გამოქვეყნებული დეზინფორმაცია, რომლის თანახმადაც თითქოს ირაკლი წერეთელმა 1990 წლის 30 ივნისის საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის კრებაზე განაცხადა, რომ პარტიამ ხელი უნდა შეუწყოს 1990 წლის 28 ოქტომბერს დანიშნულ უზენაესი საბჭოს არჩევნებს“. ეს განცხადება უცნაურია და არაკორექტული არა მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოებას უკვე მობეზრდა ამდენი „დაიგმოს“, „აიკრძალოს“ და ა. შ., არამედ იმიტომ, რომ ჭეშმარიტებას არ შეესაბამება, რის გამოც ავტორებს პრეტენზიების ადრესატი შეეშალათ.

ჭეშმარიტება ასეთია. „სახალხო განათლებამ“, ჩვეულებისამებრ, მკითხველს მიაწოდა ერთგვერდიანი ნაკრები მასალა — უცხოეთის საინფორმაციო წყაროების, ამჯერად რადიოსადგურების „ბი-ბი-სისა“ და „თავისუფლების“ გადაცემები ერთი კვირის მანძილზე 5-დან 12 ივლისამდე (**მკითხველს** ეს მოსწონს! — ამაზე სარედაქციო **ფოსტა** მეტყველებს!). ის, რაც „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნებული წერილის ავტორებს არ მოსწონთ, არის რადიოსადგურ „თავისუფლების“ 8/VII-ის გადაცემის ტექსტი (ოდნავ შემოკლებული)! თუ რამ მასში არ არის სწორი, ან არის არმოსწონი, ამაზე პრეტენზია უნდა განეცხადოს „თავისუფლებას“ და მის თბილისელ ინფორმატორებს — ყველა შემთხვევაში „დაბალი ღობის“ ილეთი გამოსარიცხია. ჩვენი მხრივ არაკორექტულობა ან დეზინფორმირების ცდა მაშინ იქნებოდა, რადიოგადაცემის ტექსტი რომ დაგვემახინჯებინა (კასეტა ტექსტის ჩანაწერით ინახება რედაქციაში).

„სახალხო განათლებაში“ 12 ივლისს გამოქვეყნებულ რუბრიკას მკირე სარედაქციო შესავალი აქვს, რომელშიც, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „თავისუფალი ინფორმაციის მოწოდების მიზნით უცხოეთის რადიოსადგურების მიერ გადმოცემულ ცნობებსა და საგაზეთო პუბლიკაციებს გამოვიყენებთ. მკითხველს საშუალება ექნება პარალელი გაავლოს საკავშირო თუ უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ ინფორმაციებს შორის. ანალიტიკური მსჯელობის მეშვეობით, დღევანდელი მსოფლიოს პროგნოზული მონახაზი გააკეთოს და იგრძნოს, რომ საქართველო პლანეტის განუყოფელი ნაწილია“ და ასე შემდეგ. ამ ფრაგმენტს კომენტარს არ ვუკეთებთ, ერთი რამ ცხადია — განათლებული მკითხველი ადვილად გაერკვევა იმაში, რომ უცხოელის მიერ გამოთქმულ ყველა აზრსა და ინფორმაციას, რომელიც ამ რუბრიკის შიგნით მოხვდება, ჩვენ არც ვეთანხმებით, არც პასუხს ვაგებთ მასზე. „სახალხო განათლების“ დღევანდელ ნომერში ჩვენ ვაქვეყნებთ „პოლონურ დაიჯესტს“, რომელშიც მოხვდა ზბიგნევ ბუეზინსკის სტატია — არც მის ყველა აზრს და სურვილს ეთანხმება რედაქცია, მაგალითად, სულაც არ მოგვწონს საბჭოთა ფედერაციის იდეა.

ყველა მკითხველს თუ შესაძლებელ ოპონენტს ვთხოვთ, გაითვალისწინოს — ჩვენს გაზეთში და მის შესაბამის რუბრიკებში ბევრი ისეთი გამონათქვამი იქნება უცხოელი თუ საბჭოთა ავტორისა, რომელსაც ჩვენ არ ვეთანხმებით, მაგრამ გვინდა დემოკრატიის იდეით მსუნთქავმა დღევანდელმა მკითხველმა მეტნაკლებად ყველაფერი იცოდეს (მან, მაგალითად, ამჯერად გაიგო, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის 30 ივნისის კრების პერიპეტიები დასავლეთისთვის, მიუნხენისთვის, არასწორად თუ არაზუსტად მიუწოდებიათ თბილისიდან; ეს გაიგეს პარტიის ხელმძღვანელებმაც, ჩვენი გაზეთის წყალობით, — რა თქმა უნდა, ამისთვის მადლობას არ მოვითხოვთ).

წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი არაკორექტული ოპონენტები მუშაობის ერთადერთ გზასღა გვტოვებენ: ვაქვეყნოთ TACC-ის მასალები — ისინი მშვენივრად მომზადებულიცაა, აპრობირებულიც და დაცულიც თავდასხმებისაგან.

ნუთუ ეს სჯობია იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ?!

მოშიმშილის მდგომარეობა გაუარესდა

რედაქციაში მივიღეთ თბილისელი ქალბატონის ნანა ყავლაშვილის წერილი, რომელიც, როგორც თვითონ გვწერს, პირველი ივლისიდან შიმშილობს, იგი იმყოფება საკუთარ სახლში. მისი მოთხოვნებია:

1. მოხდეს ეროვნული კონგრესის აღდგენა იმ ფორმით, რომელსაც ხმა მისცა ეროვნულმა ფორუმმა.

2. შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის ჯ. იოსელიანის როლს ეროვნულ მოძრაობაში.

3. ფიცის დადება, რომ არასოდეს უღალატებენ (იგულისხმებიან პოლიტიკური ლიდერები—რედ) ეროვნულ მოძრაობას და პირადულზე უფრო მაღლა ეროვნულს დააყენებენ.

რედაქციისაგან: ჩვენ დავუკავშირდით თბილისის № 1 მედსანნაწილის თერაპიული განყოფილების გამგეს ციალა გერმესაშვილს, რომელმაც გვითხრა, რომ ნანა ყავლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას სიხტემატურად აკონტროლებენ მედიცინის მუშაკები, მაგრამ მდგომარეობა თანდათან უარესდება და სასურველია, რომ მან შეწყვიტოს შიმშილობა.

ღია გარათი

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრს
დ. ნ. დვალიშვილს

როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის 10 მარტს უნდა შემდგარიყო მორიგი ტირაჟი მსუბუქი ავტომანქანების მომგებიანი (3000 მან.) სპეცანაბრისა.

ტირაჟი არ შედგა ჩვენთვის დაუდგენელი მიზეზების გამო.

მარტი რომ დასრულდა, მივაკითხე ჰიათურის შემნახველ ბანკს, სადაც გვიპასუხეს: მანქანების გამოყოფაში იყო შეფერხება და 10 აპრილს გათამაშდებაო.

გავიდა 10 აპრილიც, 10 მაისიც, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ყურსაც არავინ იბერტყავს...

რაშია საქმე? რა მოხდა?

ვთხოვთ გვიპასუხოთ. ეს მარტო ჩვენ, ქუთაისელებს კი არ გვაინტერესებს, არამედ საქართველოს ყველა ჩვენნაირ მოანაბრეებს. ნურც ქართულ ანდაზას დაივიწყებთ: „პირის გატეხვას, თავის გატეხვა სჯობია“.

პატივისცემით
გიორგი ივანიშვილი.
ქუთაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის შევჩივლოთ...
ანუ
როცა განმკითხავი არავინაა

იძულებული ვარ გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ მკითხველს მივცე შესაბამისი ახსნა-განმარტება ამ გაზეთის 12 ივლისის ნომერში დაბეჭდილი მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადების ერთ ნაწილთან დაკავშირებით. იძულებული ვარ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მასში აღწერილი ამბის ერთადერთი მოწმე, გაზეთ „თბილისის“ რედაქციის მუშაკებს თუ არ ჩავთვლით, მე გახლავართ.

აი, ის ნაწილიც: „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები სისტემატურად პიკეტებით ემუქრებოდნენ გაზეთ „თბილისის“ რედაქციასა და მოითხოვდნენ ი. სარიშვილის პასკვილის დაბეჭდვას, რომელიც მიმართულია ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, რაზედაც სპეციალური განცხადება გაკეთა გაზეთმა „თბილისმა“ ა. წ. 2 ივლისის ნომერში“.

და შემდეგ ტექსტი ასე გრძელდება: „აი, ამგვარი ფაქტები უთხრიან ძირს საერთო შეთანხმებას და გამორიცხავენ ყოველგვარ დიალოგს ჩვენს შორის“.

ვიდრე განმარტებაზე გადავიდოდე, ბატონი ზვიად გამსახურდიას სიტყვებს მოვიხმობ მისი ერთი ინტერვიუდან: „ჭორისა და დეზინფორმაციის გამოყენება პოლიტიკური მოწინააღმდეგის მიმართ დაუშვებელია“. აქვე თავს უფლებას მივცემ მკითხველს შევახსენო ერთი ჩემი წერილი („ახალგაზრდა ივერიელი“, 19 ივლისი, 1990 წ.), სადაც სათანადო ფაქტების დამოწმებით, ვფიქრობ, შევძელი დამესაბუთებინა და საზოგადოებისთვის გამეცნო მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების მხრივ ფაქტების გაყალბების გზით ცილისწამებისა და დეზინფორმაციის გავრცელების მცდელობა საკოორდინაციო ცენტრის მიმართ. ეს ისე, სხვათა შორის. ახლა კი დავუბრუნდები ზემოხსენებული განცხადების ციტირებულ ნაწილს. ვიმედოვნებ, რომ ჩემს ყოველ სიტყვას დაადასტურებს გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის მოადგილე, ბატონი სოსო ჭუმბურიძე.

როგორც უკვე აღვნიშნე, ქალბატონ ირინას წერილთან დაკავშირებული ამბის ერთადერთი მონაწილე გახლავართ, რაც იმაში გამოიხატება, რომ საკოორდინაციო ცენტრის სარედაქციო კოლეგიამ დამავალა, მოლაპარაკება გამემართა გაზეთ „თბილისის“ რედაქციასთან აღნიშნული წერილის დაბეჭდვის მოთხოვნით.

არ შეიძლება, ხაზი არ გაესვას იმ გარემოებას, რომ ირინა სარიშვილის წერილი მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადებაში მოხსენიებულია როგორც პასკვილი, რაც რბილად რომ ვთქვათ, უპასუხისმგებლობის მორიგი გამოვლინებაა ამ ორგანიზაციების მხრიდან. პირადი განწყობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გვაძლევდეს უფლებას შეურაცხყოფელი განცხადებების გაკეთებისა (სამწუხაროდ, კვლავ გვჭირდება იმის შეხსენება, რომ ყველა შეფასება შესაბამის დასაბუთებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შეურაცხყოფის მცდელობად აღიქმება). ის ფაქტი, რომ წერილი ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგაა მიმართული, მისი პასკვილად მონათვლის მიზეზად ვერ გამოდგება. მთავარი და განმსაზღვრელი უნდა იყოს წერილის შინაარსი, ანუ ის, თუ მასში აღწერილი ფაქტები რამდენად შეესაბამება სიმართლეს და არა ის, თუ ვის წინააღმდეგაა იგი მიმართული. ყველას მოეხსენება, რომ წერილი არ დაბეჭდილა, ამიტომ მისი შეფასებისგან, გასაგები მიზეზების გამო, განცხადებაზე ხელისმომწერებს თავი უნდა შეეკავებინათ. აქვე დავამატებ, რომ პრეტენზიები პოლიტიკოსობაზე ამგვარ პასუხისმგებლობას განსაკუთრებით ზრდის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მომაჩნია, რომ ირინა სარიშვილის წერილი უნდა დაიბეჭდოს და უნდა დაიბეჭდოს როგორც „თბილისში“, ასევე „ახალგაზრდა ივერიელში“.

როგორც უკვე მოგახსენეთ, საკოორდინაციო ცენტრის სარედაქციო კოლეგიის მოთხოვნასთან დაკავშირებით გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის მოადგილესთან, ბატონ სოსო ჭუმბურიძესთან მე ვაწარმოებდი მოლაპარაკებას (ჩვენს შორის შედგა 4-5 შეხვედრა). აქვე ვიტყვი, საკითხი იმდენად მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა, რომ ჩვენი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად ვთვლიდით რედაქციის შენობასთან რაიმე საპროტესტო შინაარსის აქციის (თუნდაც პიკეტის) გამართვას. ბატონ სოსოს ეს მოსაზრებაც ვაცნობე.

პასუხის ბოლო ვადად დავთქვით 28 ივნისის საღამო, ან, უკიდურეს შემთხვევაში, 29 ივნისის, პარასკევი დილა (მოგეხსენებათ, საკოორდინაციო ცენტრის შეკრების ერთ-ერთი დღე პარასკევია). თუმცა ეს დეტალებია. მართალია, არცთუ უმნიშვნელო, მაგრამ დეტალები. . . აქვე დავძენ, რომ ხუთშაბათ საღამოს ჩვენს მოთხოვნაზე მივიღეთ დადებითი პასუხი (!).

ახლა მთავარზე უნდა მოგახსენოთ, რომ მე არა ვარ და არც არასდროს ვყოფილვარ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, და როგორც უკვე აღვნიშნე, არც ამ პარტიის დავალებით ვმოქმედებდი, ამიტომ მრგვალი მაგიდის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ირინა სარიშვილის წერილის დაბეჭდვის მოთხოვნით „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები სისტემატურად პიკეტებით ემუქრებოდნენ გაზეთ „თბილისის“ რედაქციას“, სრული სიცრუეა.

მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები იმავე განცხადებაში აღნიშნავენ, რომ ირინა სარიშვილის წერილთან დაკავშირებული მოვლენები განვითარდა „იმავე პერიოდში“ ე. ი. საკოორდინაციო ცენტრისა და მრგვალი მაგიდის წარმომადგენელთა პირველი შეხვედრის შემდეგ, რაც ასევე მტკნარი სიცრუეა, რადგან გაზეთმა წერილი დამბრუნა 2 ივლისს დილით და მხოლოდ ამის შემდეგ, იმავე დღეს, შედგა ის პირველი შეხვედრა, სადაც დაიდო, როგორც მრგვალი მაგიდის განცხადებაშია ნათქვამი, „ურთიერთთავდაუსხმელობის შეთანხმება“. აღნიშნული შეთანხმების გამო არც მე და არც საკოორდინაციო ცენტრის სხვა წევრს გაზეთ „თბილისის“ რედაქცია ირინა სარიშვილის წერილის დაბეჭდვასთან დაკავშირებით 2 ივლისიდან დღემდე არ შეგვიწუხებია.

აუცილებლად მიმაჩნია, მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადების კიდევ ერთ მომენტს შევეხო.

განცხადებაში წერია, რომ „ძმები გუდავები არ არიან საკოორდინაციო ცენტრის წევრები“. ყველასთვის, და მათ შორის მრგვალი მაგიდისთვისაც, კარგად არის ცნობილი, რომ საკოორდინაციო ცენტრი არის წარმომადგენლობითი პრინციპით გაერთიანებული პოლიტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების საკრებულო. საკოორდინაციო ცენტრის წევრი 43 ორგანიზაციას შორისაა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ხოლო ძმები გუდავები, მოვეხსენებათ, ამ პარტიის წევრები არიან.

(მსურდა ორიოდ სიტყვა მეთქვა იმასთან დაკავშირებთ, რომ მ. არჩვაძე—გამსახურდიას წერილის გამოქვეყნების ფაქტი შეიძლებოდა თუ არა ყოფილიყო რაიმე კავშირში მრგვალ მაგიდასთან, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ქალბატონი მანანა ამ ალიანსის წევრი, მაგრამ, ვფიქრობ, მკითხველი ამ საკითხზე დასკვნებს „დაუზმარებლად“ გააკეთებს).

როგორც ხედავთ, ერთ განცხადებაში „გაპარული შეცდომების“ ჩამოთვლაზე ლამის არის ერთი ხელის თითები აღარ გვეყოს.

ჩემთვის გასაგებია, რომ მრგვალ მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების მხრივ ამგვარი უპასუხისმგებლო განცხადებების გაკეთება გარკვეული ხერხია ეროვნული მოძრაობის პოზიციებიდან ჩემთვის აუხსნელი მიზნებისთვის ბრძოლაში და რომ ამის შესაძლებლობას იძლევა ის განუკითხაობის ვითარება, რომლის მიზეზიცაა ეროვნულ მოძრაობაში იმ მექანიზმის არარსებობა, რომელიც პასუხისმგებლობის წინაშე დააყენებდა მასში გაერთიანებულ ყველა ორგანიზაციასა და პირს. მაგრამ აბსოლუტურად გაუგებარია საზოგადოებრიობის დამოკიდებულება, რომელიც ვალდებულია იცისროს მორალური მსჯელის ფუნქცია, ის კი გაურკვეველი მისამართით გაკეთებულ ზოგადი შინაარსის შეგონებებით კმაყოფილდება და არავითარ რეაგირებას არ ახდენს ფაქტებზე, თუნდაც ზემოთგანხილულის მსგავსი შინაარსის, უაღრესად პრინციპული **მნიშვნელობის** უპასუხისმგებლო განცხადებებზე.

ბიორბი კობახიძე,
ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

განცხადება

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ალიანსს ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირთან დაშლილად აცხადებს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ხელმძღვანელობასთან საუბრის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ალიანსის არსებობა გაუმართლებელია, რადგანაც მთელ რიგ პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ არ გაგვაჩნია საერთო აზრი.

ალიანსის დაშლა არ ნიშნავს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს შორის პოლიტიკური ურთიერთობის გაწყვეტას.

14. 07. 90 წ.

საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობის დელეგატთა

საყურადღებოდ

ამა წლის 28 და 29 ივლისს თბილისის პროფკავშირების კულტურის სასახლის შენობაში (ვაჟა-ფშაველას პრ. № 43) მუშაობას გააბლებს საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობა.

დელეგატების რეგისტრაცია იწყარმოებს 27 ივლისს ყაზბეგის ქ. № 17-ში, დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე, 28 და 29 ივლისს პროფკავშირების კულტურის სასახლის შენობაში დილის 9 საათიდან.

რეგიონების თავმჯდომარეებს, დამოუკიდებელი პირველადი ჯგუფების რწმუნებულებს და სახალხო ფრონტთან არსებულ ასოციაციათა ხელმძღვანელებს ვთხოვთ ხელახლა წარმოადგინონ დელეგატთა სიები ყაზბეგის ქ. № 17-ში 25 ივლისამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მანდატი არ გაიცემა.

საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობის საორგანიზაციო კომისია

ყურადღება

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენი შაბათს, 21 ივლისს, 11 საათზე ქაშუეთის ტაძართან იწვევს ყველას, ვისაც სურვილი აქვს კვირაში ერთი დღე თავის უკიდურესად გაჭირვებულ თანამოძმეს დაუთმოს.

იმავე დღეს სათნოების ორდენის წევრები მიემგზავრებიან ძეგვის ფსიქო-ნევროლოგიური პანსიონატის ბინადრების მოსანახულებლად. გამგზავრების მსურველებს 13 საათისათვის ტაძრის ეზოსთან დაელოდებათ ავტობუსები.

სათნოების ორდენი
(ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“)

---

18 ივლისს კინოს სახლში შედგა ქართველ მრეწველთა კავშირის პირველი, დამფუძნებელი ყრილობა. მისი შექმნის ინიციატორები არიან რესპუბლიკის დედაქალაქის წამყვან საწარმოთა ხელმძღვანელები. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ყველა რეგიონის (გარდა ოსეთის) სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, დელეგატები ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან.

დღის წესრიგის პირველი ნაწილი მიეძღვნა მთავრობის კონცეფციის განხილვას რეგულარულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით. გამოითქვა განსხვავებული შეხედულებები, შემდგომ ცხარე კამათი გაიმართა საქართველოს მრეწველთა კავშირის წესდებისა და პროგრამის საკითხთა ირგვლივ.

ყრილობის სამუშაო დღე დატვირთული იყო როგორც გამოთქმული წინადადებით, ასევე გამომსვლელთა რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მწვავე საკითხების განხილვისასაც კი მყღავნდებოდა არა ემოციები, არამედ დელეგატთა მიერ რეალური ვითარების ღრმა ცოდნა. ჩვენ ვთხოვეთ მკითხველებისთვის კავშირის თავიანთი შეხედულებები გაეზიარებინათ საორგანიზაციო წევრებს.

დავით ზოდელავა, რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ ექსპერიმენტული ქარხნის დირექტორი:

— ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ კავშირი ხელს შეუწყობს ყოველგვარი ინიციატივის წამოსვლას „ქვევიდან“, რასაც საფუძველშივე კლავს მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდები. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში შექმნილი გლეხთა კავშირების, ტრანსპორტების და მშენებლების ერთიან ბლოკს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში კანდიდატთა წამოსაყენებლად. ეს უზრუნველყოფს ხელმძღვანელ ორგანოებში პრაქტიკოს-მრეწველთა წარდგინებას.

ბესო ჯუღელი, ქარხანა „ბიდრომეტხელსაწყოს“ დირექტორი:

— მრეწველთა კავშირს უნდა ჰქონდეს იურიდიული სამსახური, რომელიც კავშირის წევრებს მიეხმარება საკითხთა ვადაჭრაში და მათი საქმიანობის გარანტად იქცევა. აუცილებელია, აგრეთვე, შეიქმნას კომერციული ინფორმაციის მძლავრი სამსახური, აგრეთვე, გაერთიანდეს ჩვენს ხელთ არსებული ყველა სახსრები და შეიქმნას ინვენსტიციური ბანკი.

ყრილობაზე ითქვა, აგრეთვე, რომ მის დაწყებამდე ერთი დღით ადრე საქალაქო საბჭოსთან სასწრაფოდ შეიქმნა მრეწველთა ასოციაცია. ამ ინფორმაციამ, რბილად რომ ვთქვათ, გააოცა ყრილობის მონაწილენი. როგორც შემდგომ გამოირკვა, ამის შესახებ მხოლოდ ყრილობის ერთმა დელეგატმა იცოდა. მიუხედავად კამათისა და აზრთა სხვადასხვაობისა, ყრილობის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება მრეწველთა ასოციაციასთან თანამშრომლობის შესაძლებლობაზე, თუ მათ ერთიანი მიზნები ექნებათ.

წინასწარ დათქმული ორი დღის ნაცვლად, სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ დელეგატთა თხოვნით, ყრილობამ ერთ დღეს იმუშავა. გადაწყდა, კავშირის წესდებისა და ყრილობის საფუძველზე მრეწველთა კავშირის II ყრილობა მოწვეულ იქნას მიმდინარე წლის სექტემბერში.

არჩეულ იქნა მრეწველთა კავშირის საბჭო 28 კაცის შემადგენლობით. **კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშნულია ქარხანა „ბიდრომეტხელსაწყოს“ დირექტორი ბესო ჯუღელი, კავშირის გაზეთის რედაქტორად სოსო სიმონიშვილი.**

საკუთარი ინფორმაცია

შეიქმნა ქართველ მრეწველთა კავშირი

ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის

განცხადება

ამა წლის 21-22 ივლისს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (მე-2 კორპუსი, ჭავჭავაძის გამზირი № 3) ჩატარდება ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის პირველი ყრილობა. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია დაგვიკავშირდეს შემდეგი ტელეფონებით: 93-28-32, 93-50-06, 31-59-01.

ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის გამგეობა

წერილი რედაქციას

იმის გამო, რომ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება პოლიტიკურ პარტიათა თვითნებობის საასპარეზოდ იქცევა, მე ვიხსნი ამ საზოგადოების თავმჯდომარის რწმუნებებს.

ლევან სანიკიძე

ეროვნული ფერადი

ორიონი

ეგვერდის სპონსორები ორიან საქველმოქმედო ასოციაციებია „ალორძინება“ და „ამაღე“. ასოციაციის ფირმა „ორგი“

ბადაიარა (და ბევრს, „გადაგვიარა“ კიდეც!), მსოფლიო XIV ჩემპიონატმა!

მესამედ ჩაიხუტეს ოქროს მედლები გერმანელებმა!

„არგენტინულ-ურუგვაულ-ქართული“ სტილის ქომაგთა წუხილის მიუხედავად, სპორტულმა სამართალმა მაინც ჰამა თავისი წილი „პურო“!

მაგრამ, უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ კაცობრიობა კვლავ გახდა მოწმე / და მონაწილე იმ ჭეშმარიტების ზეიმისა, რომელიც უკვე მერამდენედ გვმოძღვრავს, რომ „ფეხბურთი არაა მხოლოდ ფეხბურთი“...

რომ იგი ერთ-ერთი დიდი და უთვალსაჩინოესი ასპარეზია ეროვნული ნიჭის, უნარისა და ინტელექტის გამოვლენისა, რისი შეგრძნებაც, ასე საზეიმოს ხდის თუნდაც საპატიო ფრეს და გნებავთ, საპატიო — წაგებასაც კი!..

ერთ დროს, როცა ევროპული და, მით უმეტეს, მსოფლიო რანგის ოფიციალური ასპარეზობის ეშხს და გემოც ცალკე ქართველი ფეხბურთელების შორეულ საკავშირო ნაკრებში მონაწილეობით „ვიტკბარუნებდით“, მეტი რა ჩარა იყო და ოდენ საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრებით გამოგვქონდა კატეგორიული დასკვნა — თბილისის „დინამო“ მსოფლიოს უძლიერესი გუნდიაო!!..

მერე, როცა გაგვეხსნა „პირის გემო“ და 1981 წელს უკვე გავბედეთ სუპერთასზე წაოცნებება და, ვინ იცის, რა „აღსრულებანი“ გვედო წინ, რომ ჩვენს პროფესიონალურ გამოუცდელობას ზედ არ დართვოდა ვეება „გამოცდილება“ პროვინციული ამბიციებისა, „მატერიალურ ხორცისმიერი“ „ვნებების“ ზეიმისა ეროვნული ინტერესების წინაშე პასუხისმგებლობაზედ!..

და „მოვემკეთ“ კიდევ მოსამკელი ერთბაშად! ორ-სამ წელიწადში, — პროგრესის მაგივრად საოცარი რეგრესი!..

გაჭრა ძლიერი ქართული გუნდი!

რაც მთავარია, გაჰქრნენ — დიდი ქართველი ფეხბურთელები!..

მაგრამ:

— დღეს ჩვენი ერი, რომელსაც ფანატიკურად უყვარს ფეხბურთი დგას დილემის წინაშე:

— ან საფეხბურთო სუვერენიტეტის სახელით და ბერკეტებით „გაცხრომა“ საკუთარ ნაჭუჭში, პატარ-პატარა „წათამაშებებით“ უცხოურ გუნდებთან, სარფიანი სპორტული მაღაზიებით თუ კოოპერატივების გახსნით;

ან გაღვიძება ეროვნულ სხეულში დიადი და სახელოვანი საქართველოების სიკისკასისა და შებმა მახვილთა აიეტისა, ფარსმან ქველისა, ლუარსაბისა, სვიმონისა, სოლომონისა თუ ერეკლესი.

თუ ვირჩევთ „პირველს“ — მაშინ მართლა არანაირი დამოუკიდებლობის ღირსი არა ვართ!.. (არამცთუ საფეხბურთოსი).

თუ „ძეორეს“, — მაშინ:

ქართველ ერს და მის საფეხბურთო ნაკრებს რეალური შანსი აქვს 1994 წელს გამოვიდეს მინდვრებზე არა მარტო რომელიმე შესარჩევ ჯგუფში, არამედ წარუდგეს ამერიკას და მსოფლიოს 23 გუნდთან ერთად მორიგი XV ჩემპიონატის მონაწილედ!

მაგრამ, უმთავრეს ზეამოცანად მან, ქართველმა ერმა, თუ არ დაისახა 2002 წელს რეალური ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონობისათვის...

— თუ დღეიდანვე არ შეუდგა მუხლჩაუხრელ ზრუნვას.

— ეროვნული ფსიქიკის გადასახალისებლად...

— პროვინციული წუწურაქობის და სიხარბის აღმოსაკვეთად...

— საფეხბურთო ნიჭისა და ღირსებათა კრიტერიუმების გადასახალისებლად და მათი აღზრდა განვითარებისათვის განსაკუთრებით ნორჩებში „დაგვისა და წვისთვის“...

— თუ არ აღადგინა ქართული მოდელი და კრედო თამაშის კონსტრუქციისა და ტემპორიტმისა...

— და, კიდევ, თუ არ „სძლია“ სხვა მრავალი „თუ“ და „არა“...

— ჩვენი ეროვნული ფეხბურთი საერთოდ ვერასოდეს ვერ გაიმართება წელში...

— ვერასოდეს ვერ წარადგენს ღირსეულად თავის ერს მსოფლიო ასპარეზზედ... კაცობრიობის თვალწინ!..

აღარ დადგა დრო, რომ ვუქომაგოთ საქართველოს ნაკრებს და აღარ დავაღლიტოთ ერთურთს ყელის ოიგები რომელი გუნდი უფროა ღირსი ჩვენი სიყვარულისა — ჰოლანდიისა, ბრაზილიისა თუ არგენტინისაო?!

ბატონებო — დროა „შევიბათ მახვილი“ — სახელად ქართველთა ფეხბურთი 2002!

მაგრამ მანამ შევიბამთ ჯერ ლაშქრობა უნდა გამოვაცხადოთ ქართველი მარადონებისა და კემპესების აღმოჩენისთვის! აღზრდისთვის! დავაუკაცებისთვის!

ამას კი მარტო შევარდნის თვალი და სიტყვიერი დამოძღვრა არ ეყოფა

ამისთვის გერმანული გულმოდგინებაც უნდა გამოინახოს ქართულ ტემპერამენტში.

— და, მიუხედავად იმისა, განგების ნება სცნობს თუ არა ღირსად საქართველოს ნაკრების მსოფლიო ჩემპიონობას ან ფინალისტობას. მე მაინც შევავედრებ მის ნებას იმასაც, რომ არა მარტო 2002 წელს... არამედ 1998-შიც და თქვენ წარმოიდგინეთ 1994-შიც...

...ჩემპიონატის გახსნასა თუ ფინალის ნანატრ ჟამს — საპატიო სტუმართა ლოჟაში ფიფა-სა და უეფა-ს მოღვაწეთა, პრემიერ-მინისტრთა თუ, პრეზიდენტთა შორის მასპინძელი ქვეყნის ტელერეპორტიორებმა ღირსეულად წარუდგინონ „გულშემატკივართა მსოფლიოს“ ქართველი პრემიერ-მინისტრიც და, რაც მთავარია, ღვთითვე კურთხეული ბაგრატიონი მეფე ქართველთა!!! ეროვნული ღირსების თვალსაჩინოებისა და ზეიმის უკეთესი ჟამი, არამგონია ენატრა ან ინატროს „მოწყენილი საქართველოს“ ღირსეულ მომავალზედ მეოცნებე ქართველს!

ლერი სიხარულიძე,
კინოდრამატურგი,
საქართველოს მონარქისტული მოძრაობის მხარდამჭერი ლიგის ხაინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარე.

„ღმერთო, ღმერთო, ეგ ხმა ტკბილი“...



ანუ ქართული ფეხბურთი—2002

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლე პასუხი გაცრონ ჰაიტა გოგელაურს

თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ თქვენი წერილის („ორიონდე სიტყვა ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ“) იმ ნაწილზე, რომელიც ეხება აქცია „აღორძინებას“ და მის ანგარიშს. თავიდან გეტყვით, რომ თქვენი ბრალდება, თითქოს აქცია კიდევ გრძელდება და ანგარიშზე „შეცდომით“ შემოსულ შემოწირულობებს ვინმე ითვისებდეს, არ შეეფერება სინამდვილეს. არც ის არის მართალი, თითქოს თქვენ არბიტრაჟში აღძრული სარჩელის მეშვეობით წაგეღოთ წერილში ხსენებული თანხა მაშინდელი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისგან. სინამდვილეში კი აქციის გაუქმების შემდეგ ზემოთხსენებული თანხა უკლებლივ გადმოვიდა თქვენს ანგარიშზე ორგანიზაციებთან უშუალო შეთანხმების შემდეგ და არა არბიტრაჟისეული ჯარიმის სახით. ანდა რატომ გგონიათ, რომ ყოველთვის აქცია „აღორძინების“ ანგარიშზე ირიცხებოდა ასოციაცია „აღორძინების“ თანხები. ხომ შეიძლება პირიქითაც მოხდარიყო, მით უმეტეს, რომ აქციის ანგარიშის ნომერი სულ ერთხელ თუ ორჯერ გამოქვეყნდა.

დავუბრუნდეთ ისევ იმ ანგარიშს, რომელიც, რატომღაც „კომკავშირული“ გგონიათ. ეს ანგარიში აქციის დაწყებამდე თითქმის ორი წლით ადრე არსებობდა (1988 წლიდან), ე. ი. არ იყო სპეციალურად აქციისთვის გახსნილი და წარმოადგენდა დამოუკიდებელ ერთეულად არსებულ ახალგაზრდული მშენებლობების რესპუბლიკური ცენტრის ანგარიშს, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონია კომკავშირულ სახსრებთან. ცენტრი დაახლოებით იგივე საქმეს აკეთებდა და აკეთებს დღესაც, რაც 2 წლის შემდეგ დაიწყო ჯერ ასოციაცია „აღორძინებამ“ და მერე კი ახალგაზრდულმა გაზეთებმა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივმა ერთჯერადმა აქციამ „აღორძინება“.

ცნობისთვის მოგახსენებთ, რომ ზემოთხსენებულმა ცენტრმა 2 წლის განმავლობაში 1 მილიონი მანეთი გადარიცხა მერაბ კოსტავას ფონდში, აჭარლებისათვის ახალქალაქის რაიონის სოფლებში კოთელისა და გოგაშენში ააშენა 10 სახლი, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჰერეთის კარში — 3 სახლი, თერჯოლაში — 4 და ასპინძაში — 5 სახლი ადგილობრივი ახალგაზრდა ოჯახებისთვის, მათ შორის თერჯოლაში ერთი სახლი გადაეცა უპატრონო ბავშვთა სახლში აღზრდილ და-ძმებს, შენდება ახალგაზრდა სპეციალისტების (მასწავლებლების და ექიმების) სახლები ყაზბეგსა და ხულოში, სკოლა 200 მოსწავლისათვის სოფელ აზმანაში (ცეკავშირთან ერთად), ინდივიდუალური ტიპის საცხოვრებელი სახლები ზესტაფონში (2), გარდაბანსა (3) და ჩოხატაურში (7). შევისყიდეთ 12 სახლი ბოლნისში, რომლებიც უსასყიდლოდ გადაეცა მფლობელებს, და რომლის სახსრებიც მთლიანად გაღებული იყო ზემოთხსენებული, სამეურნეოანგარიშიანი ცენტრის მიერ. ამ თანხებში, ვიმეორებ, კაპიკი არ ურევია არც კომკავშირული (სესხის სახითაც კი) და არც შემოწირული ფულისა. ეს მშენებლობები ფინანსდებოდა და დღესაც ფინანსდება მხოლოდ ჩვენს მიერ ორგანიზაციებთან დადებული ორმხრივი სასარგებლო ხელშეკრულების საფუძველზე, ან სხვადასხვა ფასიანი ქაღალდებით და ერთობლივი ღონისძიებებიდან შემოსული თანხებით.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ აქციისა და ასოციაციის სახელი ერთმანეთს უნებლიეთ დაემთხვა (სიტყვა „უნებლიეს“ ვიყენებ, რადგანაც აქციაში, როგორც ზემოთ მოგახსენებთ, მონაწილეობდა ის გაზეთიც, რომელშიც, თქვენი თქმით, ჯერ გამოქვეყნდა ინფორმაცია ასოციაციის არსებობის, ხოლო მერე აქციის ჩატარების შესახებ). აქცია „აღორძინება“ გაუქმდა, რაც ეცნობა ბანკს და აქციიდან შემოსული თანხები მთლიანად დაუბრუნდა იმ ორგანიზაციებს თუ კერძო პირებს, ვინც ეს თანხები გადმორიცხეს აქციის სახელზე (გარდა იმ თანხისა, რომელიც გადაგერიცხათ თქვენ ამ ორგანიზაციებთან შეთანხმებით). გარდა ამისა, თქვენი წერილის გაცნობის შემდეგ დავინტერესდით და აღმოჩნდა, რომ იმ პირების და ორგანიზაციების თანხები საერთოდ არ მოხვედრილა აქციის ანგარიშზე, რომლებსაც თქვენ მოიხსენებთ წერილში, მაგრამ თუ მათთვის მაინც გაურკვეველია თანხების ბედი, ვთხოვთ მათ, მიაკითხონ შესაბამის საბანკო სამსახურებს, რათა დაიბრუნონ გადარიცხული თანხები ან გადარიცხონ საკუთარი შეხედულებისამებრ სხვა ანგარიშზე. რაც შეეხება აქციის ანგარიშს, ის უკვე გაუქმებულია, და, იმედია, ეს არ გამოიწვევს შემდგომ გაუგებრობას.

პირადად ჩვენ მივესალმებით ყველა ახალგაზრდას თუ ახალგაზრდულ ორგანიზაციას, რომელიც ხელს მოჰკიდებს სოფლისა და დემოგრაფიის საკითხებს და, რაიმე სასიკეთოს გააკეთებს ამ მხრივ, მით უმეტეს, თუ ამისთვის გამოყოფილი სახსრები არ იქნება მთლიანად მარტო შემოწირულობებზე დაყრდნობილი. რაც შეეხება წერილში დასმულ სხვა საკითხებს, ამაზე, ალბათ, შესაბამისი ორგანიზაციებიდან გიპასუხებენ.

ახალგაზრდული მშენებლობის რესპუბლიკური ცენტრი.

ამ გვერდზე გამოქვეყნებული მახალების ჰონორარი გადაირიცხება სოფ. ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „აღორძინების“ ანგარიშზე 100700808 მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკში.

მერთმანეთისადმი სიყვარულით

ამას წინათ სრულიად საქართველოს საპატრიარქოს დეკანოზმა მამა ტარიელმა აკურთხა კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში მდებარე ბავშვთა ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერი. აქ მყოფი ორასამდე ბავშვი დასაჩუქრდა განსაკუთრებული ფსიქიკური განვითარების მქონე ადამიანთა დახმარების ასოციაცია „მეგზურის“ მიერ. კურთხევას ესწრებოდნენ „სავანეთას“ და ვიდეო-სტუდია „ბალთას“ გადამღები ჯგუფის წევრები.

ალბათ, ყოველ ადამიანში, ავადმყოფსა თუ ჯანმრთელში უნდა ვეძებდეთ მშვენიერებას, უფალს, ვინაწილებდეთ სხვის ტკივილს, გაჭირვებას, ერთმანეთისადმი სიყვარული გააერთიანებს ჩვენს ერს და მაშინ ჩვენი სამშობლოსათვის ესოდენ ნანატრი კეთილდღეობაც არ დააყოვნებს.

სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „სავანეთა“.

ახალგაზრდა ქვრელი
Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Квреели»

ტელეფონები: მახალები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ნაგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქტორის მოადგილე
გიგლა გოგბერიძე

რედაქციის მისამართი
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.

უე 00916